ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 50

"21" დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა №12-ში, კორპუსი №1ა-და კორპუსი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა №12-ში, კორპუს №1-სა კორპუს №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 დეკემბრის №21.1646.1835 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა №12-ში, კორპუს №1-სა და კორპუს №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, დანართი №1-ით მოცემულ პირთათვის გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

						დანართი N1
	ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინა ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი	
1	ნუგზარ ტუსიშვილი	01027001125	სართული 4, ბინა N44	46.54	01.19.20.026.027.01.044	
2	ნათია ჯიმჯარიანი	01027033016	სართული 2, ბინა N83	33.16	01.19.20.026.027.07.083	